

№ 2/66288
16.01.2026

**შეტყობინება სააქციო საზოგადოება „სილქ ბანკის“
რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის
შესახებ**

გაცნობებთ, რომ 2026 წლის „09“ თებერვალს 10:00 სთ-ზე, სს „სილქ ბანკის“ („ბანკი“) (ს/კ 201955027) რეგ. იურიდიულ მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0102, ზაარბრუკენის მოედანი N2 ჩატარდება ბანკის აქციონერთა საერთო კრება.

რიგგარეშე საერთო კრება

რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ფორმა: საერთო კრება მოიწვევა სს „სილქ ბანკის“ მარეგისტრირებული ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ბანკისადმი მიკუთვნებულ მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე შეტყობინების განთავსების გზით.

აქციათა რაოდენობა და ხმის უფლება

რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის ბანკის გამოშვებულ და განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობა არის 1047464 ცალი ჩვეულებრივი აქცია. საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას.

საადრიცხო დღე და რეგისტრატორი:

რიგგარეშე საერთო კრების საადრიცხო დღედ განსაზღვრულია 2026 წლის „12“ იანვარი. რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც კრების საადრიცხო დღეს აქციონერებად ირიცხებიან სს „სილქ ბანკის“ აქციათა ოფიციალურ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან, სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ - 205156374).

კრების ჩატარების წესი:

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მისი მოადგილე/თანათავმჯდომარე, მოადგილის/თანათავმჯდომარის არყოფნისას კი ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ხელმძღვანელი (თავმჯდომარე) ვალდებულია დაიცვას რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და რეგლამენტი.

კრებაში მონაწილეობის წესი

აქციონერი, რომელიც კრების საადრიცხო დღეს ასეთად მითითებულია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ მიერ წარმოებულ ბანკის აქციონერთა რეესტრში, უფლებამოსილია დაესწროს კრებას. კრებაზე დასწრებისათვის საჭიროა აქციონერმა წარმოადგინოს პირადობის (ან და იურიდიული პირის შემთხვევაში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ემთხვევა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ მიერ (ს/ნ - 205156374) გაცემულ რეესტრში საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

აქციონერი ასევე უფლებამოსილია, კრების ჩატარებამდე წერილობით წარუდგინოს კრების დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მისი ნოტარიულად დამოწმებული გადაწყვეტილება. რიგგარეშე საერთო კრება ვალდებულია ასეთი აქციონერის ხმების შესაბამისად გაითვალისწინოს კენჭისყრის შედეგებში.

აქციონერთა კრებაზე წარმომადგენლის დანიშვნა:

აქციონერი უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები სხვა აქციონერს, ან სხვა მესამე პირებს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ აქციონერის რწმუნებული პირი ვერ წარმომადგენს ამგვარ რწმუნებულებას, მას ჩამორთმეულ ექნება კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად. წარმომადგენელს აქვს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და შეკითხვების დასმის იგივე უფლებები, რომლებიც მის მიერ წარმოდგენილ აქციონერს ექნებოდა. წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს აქციონერის მიერ იმ რისკის შესაფასებლად საჭირო ფაქტები, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია მას უფლება აქვს, სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.

რიგგარეშე საერთო კრების კვორუმი:

აქციონერთა კრებაზე კვორუმი ითვლება შემდგარად, თუ მას ესწრება პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის სახით ბანკის ჩვეულებრივი აქციების არანაკლებ 50%-ზე მეტის მფლობელი აქციონერ(ებ)ი. თუ კრების გახსნის დანიშნული დროიდან 30 წუთის განმავლობაში კვორუმი არ შეგროვდა, კრების თავჯდომარე მის მიერ განსაზღვრულ ვადაში ბანკის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად იგივე დღის წესრიგით იწვევს ახალ კრებას. ასეთ შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე ხმის უფლების მქონე აქციონერი. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა საერთო კრებაზე კვლავ არ შედგება კვორუმი აქციონერთა კრების თავჯდომარე მის მიერ განსაზღვრულ ვადაში ბანკის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად იმავე დღის წესრიგით კვლავ იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად. აქციონერთა კრებაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით გარდა, იმ შემთხვევებისა, რომელთა მისაღებად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ანდა ბანკის წესდებით გათვალისწინებულია უფრო მეტ აქციონერთა ხმათა რაოდენობა.

რიგგარეშე საერთო კრებაზე კენჭისყრისა და ხმის მიცემის წესი:

რიგგარეშე საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრის პრინციპით დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება დამოუკიდებლად. თითოეული დამსწრე აქციონერი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს, შეეწინააღმდეგოს ან თავი შეიკავოს დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან მიმართებით შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას. თუ აქციონერი კრებამდე ბანკს წარუდგენს წერილობით ნოტარიულად დამოწმებულ გადაწყვეტილებას საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებთან დაკავშირებით მაშინ მისი დასწრება საერთო კრებაზე აუცილებელი არ არის და საერთო კრება ვალდებულია, ასეთი აქციონერის ხმები, მისი საკუთრებაში არსებულ ხმის უფლების მქონე აქციონერს რაოდენობის შესაბამისად გაითვალისწინოს კენჭისყრის შედეგებში.

რიგგარეშე საერთო კრებისათვის შეთავაზებული ხმების დათვლის წესი

რიგგარეშე საერთო კრებას დაესწრება და ხმების დათვლის პროცესს უზრუნველყოფს ხმის დამთვლელი კომისია და/ან ნოტარიუსი. ნოტარიუსი გააფორმებს რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებას.

რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:

1. კაპიტალის გაზრდა, დამატებითი აქციების გამოშვება;
2. ბანკის წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება;
3. სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება;

რიგგარეშე საერთო კრებას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სს „სილქ ბანკის“ წესდების ახალი რედაქცია (პროექტი) წარმოდგენილია დანართ N1-ში;
2. აქციონერთა კრების ოქმის პროექტი, წარმოდგენილია დანართ N2-ში;
3. სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი, წარმოდგენილია დანართ N3-ში.

რიგგარეშე საერთო კრებისათვის შეთავაზებული გადაწყვეტილებები/წინადადება

1. გაიზარდოს კაპიტალი და განთავსებული კაპიტალის ოდენობა განისაზღვროს წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად და დამატებით გამოშვებული იქნას სახელობითი ჩვეულებრივ კლასის აქციები, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრას 100 (ასი) ლარი.
2. შეიცვალოს სს „სილქ ბანკის“ წესდება და დამტკიცდეს წესდების ახალი რედაქცია დანართი N1-ში წარმოდგენილი ფორმით;
3. დამტკიცდეს სადამფუძნებლო შეთანხმება.

დღის წესრიგში შემავალი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ხმათა რაოდენობა:

აქციონერთა კრებაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით გარდა, იმ შემთხვევებისა, რომელთა მისაღებად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ბანკის წესდებით გათვალისწინებულია უფრო მეტი აქციონერთა ხმათა რაოდენობა.

აქციონერთა უფლებები ინფორმაციაზე:

რიგგარეშე საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მოაწოდოს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე თუ:

- a) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;
- b) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;

ინფორმაციის მიწოდებაზე სს ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებისა და მასალების გამოქვეყნების წესი და გაცნობის შესაძლებლობა:

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ნოტარიულად დამოწმებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ბანკის საჯარო რეესტრის პორტალზე. საერთო კრების მასალების სრულად გაცნობა შესაძლებელია სს „სილქ ბანკის“ იურიდიულ მისამართზე წინამდებარე შეტყობინების გამოქვეყნებიდან 2 თვის განმავლობაში.

სს სილქ ბანკის

გენერალური დირექტორი

ალექსი ხოროშვილი



პ რ ო ე ქ ტ ი

დამტკიცებულია

სააქციო საზოგადოება „სილქ ბანკი“-ს
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მიერ

2026 წლის „09“ თებერვალი

ოქმი N **16/09022026**

სააქციო საზოგადოება „სილქ ბანკი“

წესდება
(ახალი რედაქცია)

თბილისი
2026 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

- მუხლი 1. ზოგადი დებულებები
- მუხლი 2. ბანკის საქმიანობის საგანი
- მუხლი 3. ბანკის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი
- მუხლი 4. ბანკის კაპიტალი და ბანკის აქციები
- მუხლი 5. ბანკის აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები
- მუხლი 6. ბანკის აქციონერების მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება
- მუხლი 7. ბანკის აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ
- მუხლი 8. შენატანი
- მუხლი 9. ბანკის მმართველი ორგანოები
- მუხლი 10. საერთო კრება
- მუხლი 11. საერთო კრების ჩატარება
- მუხლი 12. საერთო კრების კომპეტენცია
- მუხლი 13. სამეთვალყურეო საბჭო
- მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია
- მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები
- მუხლი 16. ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) და მისი შემადგენლობა
- მუხლი 17. დირექტორატის სხდომები
- მუხლი 18. ბანკის დირექტორატის კომპეტენციის ფარგლები
- მუხლი 19. ბანკის წარმომადგენლობა მესამე პირებთან
- მუხლი 20. ბანკის ფილიალები წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები
- მუხლი 21. ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა
- მუხლი 22. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები
- მუხლი 23. აკრძალული გარიგებები და მუშაობის მეთოდები
- მუხლი 24. საბანკო საქმიანობის შეწყვეტა
- მუხლი 25. ბანკის შერწყმა, ლიკვიდაცია
- მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

წესდება

1. მუხლი. ზოგადი დებულებები

- 1.1. სააქციო საზოგადოება “სილქ ბანკი” (შემდგომში “ბანკი”) შექმნილია და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.2. „ბანკი“ არის იურიდიული პირი. „ბანკის“ სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციებად ამ წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის შესაბამისად.
- 1.3. „ბანკის“ საქმიანობა რეგლამენტირდება, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „მეწარმეთა შესახებ“, ამ წესდებით, საქართველოს მოქმედი სხვა კანონმდებლობით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებითა და მარეგულირებელი წესებით.
- 1.4. „ბანკის“ უფლებები და მოვალეობები ასევე განისაზღვრება ამ წესდებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით და სხვა ყველა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.
- 1.5. „ბანკის“ ფუნქციონირების მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. „ბანკს“ უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი საბანკო სამეწარმეო საქმიანობა, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის/ავტორიზაციის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვით საქმიანობა.
- 1.6. „ბანკის“ მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით და „ბანკის“ შინაგანაწესით. შინაგანაწესით „ბანკის“ წესდების შესაბამისად უნდა განისაზღვროს:
 - 1.6.1. „ბანკისა“ და მისი საოპერაციო და ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა, მათი შემადგენელი ელემენტები და მათი ფუნქციები, მმართველობითი თანამდებობები და ანგარიშვალდებულებები;
 - 1.6.2. თითოეული სტრუქტურული დანაყოფის (დეპარტამენტი / განყოფილება / სამსახური) მოვალეობები (სამსახურეობრივი დებულებების საფუძველზე);
 - 1.6.3. „ბანკის“ ადმინისტრატორებისა და „ბანკის“ სხვა თანამშრომელთა უფლებამოსილება განახორციელონ „ბანკის“ ოპერაციები „ბანკის“ სახელით და მისი ხარჯით (თანამდებობრივი ინსტრუქციების საფუძველზე);
 - 1.6.4. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები;
 - 1.6.5. რისკების კომიტეტის ფუნქციები.
- 1.7. „ბანკთან“ დაკავშირებულ ურთიერთობებში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა კანონებს, მათ შორის ამ წესდებას შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- 1.8. ეს წესდება წარმოადგენს აქციონერთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და იგი სავალდებულო ძალის მქონეა „ბანკის“ აქციონერებისთვის. ამ წესდებით განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ „ბანკის“ იმ დამფუძნებელთათვის/აქციონერთათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდებაზე, არამედ იმისთვისაც, ვინც მომავალში გახდება ან/და წესდების დამტკიცების მომენტი არის „ბანკის“ აქციონერი, მიუხედავად იმისა, რომ მას წესდებაზე ხელი არ მოუწერია. ამ წესდების დებულების შესაბამისად წესდებაზე ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე. თუ აქციონერთა საერთო კრებას ესწრება ნოტარიუსი კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსი.
- 1.9. აქციონერთა შეთანხმება ემყარება „ბანკის“ აქციონერთა კეთილსინდისიერების, ურთიერთპატივისცემის, გადაწყვეტილების მართლზომიერად და გულისხმიერებით მიღების

ზოგად პრინციპებს. აქციონერთა მიერ დაცულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამეწარმეო და საბანკო საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

- 1.10. „ბანკი“ თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს. „ბანკს“ ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში დადოს გარიგებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვროს ამ გარიგების შინაარსი, დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძლება შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.
- 1.11. „ბანკის“ პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბანკის“ ვალდებულებებისთვის მისი აქციონერები და ხელმძღვანელები პასუხს არ აგებენ გარდა იმ შემთხვევებისა როცა ასეთი პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. „ბანკი“ პასუხს არ აგებს აქციონერთა ვალდებულებებისთვის, თუ აღნიშნული პასუხისმგებლობა არაა განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით.
- 1.12. „ბანკი“ თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. „ბანკი“ შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. „ბანკის“ მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით და სხვა დოკუმენტებით. ამასთან, აღნიშნული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
- 1.13. „ბანკს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, აქვს ანგარიშ(ებ)ი საქართველოში ან უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი ან ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა. „ბანკის“ ბეჭედზე / შტამპზე „ბანკის“ სახელწოდებასთან ერთად შესაძლოა გამოსახული იყოს: „ბანკის“ ლოგო; საიდენტიფიკაციო ნომერი, ხოლო „ბანკის“ ფილიალების, წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების ბეჭდისა და თარიღის შტამპის შემთხვევაში - ამ ფილიალის (წარმომადგენლობის), და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის სახელწოდება, „ბანკის“ ლოგო, „ბანკის“ საიდენტიფიკაციო ნომერი და ფილიალების, წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების ნომერი. „ბანკს“ უფლება აქვს გახსნას შესაბამისი ანგარიშები ნებისმიერ სხვა კომერციულ და არაკომერციულ ბანკში (ასეთი შესაძლებლობის არსებობისას) როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. „ბანკს“ აქვს ასევე იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
- 1.14. „ბანკს“ უფლება აქვს, დადგენილი წესის და კანონმდებლობის მიხედვით, გახსნას თავისი საწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებისა და წარმოებების შექმნაში. „ბანკი“ უფლებამოსილია გაერთიანდეს სხვადასხვა სახის გაერთიანებებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ამ პუნქტში ხსენებული უფლების რეალიზაცია „ბანკის“ მიერ უნდა განხორციელდეს მოქმედი რეგულაციების დაცვით.
- 1.15. „ბანკის“ საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.
- 1.16. „ბანკის“ სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს, ის შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.
- 1.17. წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ასევე წესდება უნდა დარეგისტრირდეს მარეგისტრირებელ ორგანოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. .

2. მუხლი . ბანკის საქმიანობის საგანი

- 2.1. „ბანკი“ საქმიანობას ეწევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის საფუძველზე.
- 2.2. „ბანკის“ მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო

პროცედურების, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე ეროვნული ბანკის დადგენილებების, წესების, ინსტრუქციების და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისად.

2.3. „ბანკს“ უფლება აქვს, შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს მის მიერ კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა. „ბანკის“ მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევის დროს გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. აღნიშნული ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა მატერიალურ დოკუმენტს მოითხოვს.

2.4. ამ მუხლის „2.3.“ პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის ეროვნული ბანკისათვის წარდგენა სავალდებულო არ არის მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ „ბანკი“ საბანკო მომსახურების გაწევის დროს იყენებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოშვებული ელექტრონული პირადობის მოწმობის საშუალებით განხორციელებულ ხელმოწერას ან ხელმოწერას, რომლის სერტიფიკატი გაცემულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

2.5. ბანკისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:

- 2.5.1. პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- 2.5.2. სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
- 2.5.3. დერივატივის დადება, საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
- 2.5.4. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- 2.5.5. გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- 2.5.6. უპროცენტო საბანკო მომსახურება; ამ პუნქტით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების განხორციელებამდე ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს შესაბამისი საბანკო პროდუქტის აღწერა;
- 2.5.7. საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- 2.5.8. კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- 2.5.9. ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- 2.5.10. საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- 2.5.11. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;
- 2.5.12. ქონების იჯარით გაცემა; (ამ პუნქტის შესაბამისად ბანკის მიერ ქონების იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ კომერციული ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში დასაკუთრებული უძრავი ქონების მართვის მიზნით ან/და იმ პირობით, რომ ქონება მთელი საიჯარო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ საბანკო საქმიანობის, მასთან დაკავშირებული საქმიანობის ან

- კომერციული ბანკის სოციალური პროექტების განსახორციელებლად იქნება გამოყენებული. ამ უნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ბანკს ეკრძალება უძრავი ქონების შეძენა ან ფლობა მისი იჯარით გაცემის მიზნით.);
- 2.5.13. საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- 2.5.14. ქონების ლიზინგით გაცემა;
- 2.5.15. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- 2.5.16. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ამ მუხლის „2.2.12“ და „2.2.14“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის დამატებითი/განსხვავებული კრიტერიუმები.
- 2.5.17. ასევე ნებისმიერი იმ საქმიანობის წარმოება რაც განსაზღვრულია/ნებადართულია ანდა იქნება მომავალში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით.

3. მუხლი. ბანკის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი

3.1. „ბანკი“ საქმიანობას ახორციელებს სააქციო საზოგადოება „სილქ ბანკი“-ს სახელწოდებით.

3.2. „ბანკის“ სრული საფირმო სახელწოდებაა:

- ❖ ქართულ ენაზე: სააქციო საზოგადოება «სილქ ბანკი»
- ❖ ინგლისურ ენაზე: Joint Stock Company «Silk Bank»

3.3. „ბანკის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, 0102, ქალაქი თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N2.

4. მუხლი. ბანკის კაპიტალი და ბანკის აქციები

4.1. „ბანკის“ საკუთარი კაპიტალი შედგება შევსებული საწესდებო კაპიტალისაგან, სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვებისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

4.2. „ბანკის“ განთავსებული/განაღებული კაპიტალი შეადგენს:

4.2.1. **114,746,400 (ასთოთხმეტი მილიონ შვიდასორმოცდაექვსი ათას ოთხასი) ლარი.**

4.3. ბანკის კაპიტალი დაყოფილია:

4.3.1. **1,147,464 (ერთი მილიონ ასორმოცდაშვიდი ათას ოთხასსამოცდაოთხი) ცალ ჩვეულებრივი კლასის აქციად. „ბანკის“ თვითოეული ჩვეულებრივი კლასის აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.**

4.4. „ბანკის“ სახელობითი ჩვეულებრივ აქციებზე აქციონერის საკუთრების უფლება დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით. აქციონერთა რეესტრი იწარმოება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი წესების მიხედვით. ერთი ჩვეულებრივი სახელობითი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე.

4.5. გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული აქციათა კლასისა, აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ბანკმა შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც.

4.6. ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს „ბანკის“ წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში ემისიის პროსპექტშიც), ამ კლასის აქციების განთავსებამდე.

4.7. „ბანკის“ საწესდებო კაპიტალი შესაძლოა გაიზარდოს აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ახალი აქციების გამოცემის/ემისიის გზით, ასევე გაუნაწილებელი მოგების ან ნებაყოფლობითი რეზერვების საწესდებო კაპიტალად გარდაქმნით.

4.8. სულ მცირე, წელიწადში ერთხელ „ბანკში“ განთავსებული კაპიტალის მოცულობა ექვემდებარება გამოქვეყნებას, თუ ეს მონაცემი რეესტრშია რეგისტრირებული.

- 4.9. „ბანკის“ აქციონერის მიერ რომელიმე მესამე პირისათვის „ბანკის“ აქციების გადაცემა (გასხვისება) დასაშვებია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით და „ბანკის“ თანხმობით. „ბანკის“ თანხმობა გაიცემა წერილობით გენერალური დირექტორის ხელმოწერით სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ „ბანკის“ არსებით ინტერესებს არაფერი არ ემუქრება და/ან აქციების ახალი მესაკუთრე და ბენეფიციარი მესაკუთრე აკმაყოფილებენ შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ კრიტერიუმებს.
- 4.10. აქციონერის მიერ მესამე პირზე (არა აქციონერზე) „ბანკის“ აქციების გასხვისება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და „ბანკის“ სხვა აქციონერების თანხმობის გარეშე.
- 4.11. საქართველოს ეროვნული ბანკი „ბანკს“ პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, განადგებული კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობებს და მათი შექმნის წესს.
- 4.12. „ბანკს“ ეკრძალება განთავსებული კაპიტალის არაფულადი ფორმით შევსება/ფორმირება.
- 4.13. „ბანკს“ უფლება არ აქვს, შეამციროს თავისი განთავსებული კაპიტალი აქციების გამოსყიდვით ან შეამციროს თავისი საზედამხედველო კაპიტალი რეზერვების გამოყენებით ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობისა და „ბანკის“ წესდებაში განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ სათანადო შესწორების შეტანის გარეშე.

5. მუხლი. ბანკის აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები

- 5.1. „ბანკის“ პარტნიორი/აქციონერი არის პირი, რომელიც „ბანკის“ აქციების მესაკუთრეა (შემდგომში „აქციონერი“) და რომელიც ასეთად რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში. „ბანკის“ აქციონერი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე, რეგისტრირებული, დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და აიღოს ვალდებულებები.
- 5.2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება აქციათა რეესტრში ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი აქციათა რეესტრიდან.
- 5.3. აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აქციათა რეესტრის წარმოებასა და ამონაწერის გაცემაზე პასუხისმგებელია აქციათა რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო.
- 5.4. „ბანკის“ აქციონერებს აქვთ და ეკისრებათ ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.
- 5.5. აქციონერის მთავარი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის სახელობითი აქციების მისაღებად.
- 5.6. აქციონერმა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში უნდა შეატყობინოს „ბანკს“ მისი, იმ მონაცემების შეცვლის შესახებ, რომლებიც საჭიროა „ბანკის“ აქციონერთა რეესტრის (შემდგომში „ბანკის აქციონერთა რეესტრი“) წარმოებისათვის.
- 5.7. აქციონერ(ებ)ს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს ინფორმაცია „ბანკის“ ან „ბანკის“ საქმიანობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს კომერციულ, საბანკო ან საქართველოს კანონმდებლობით დაცულ სხვა საიდუმლო ინფორმაციას.
- 5.8. თავისი უფლებებით სარგებლობისას, აქციონერმა მხედველობაში უნდა მიიღოს „ბანკის“ და დანარჩენ აქციონერთა კანონიერი ინტერესები და უფლებები. „ბანკის“ აქციონერი საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს არ აგებს. გამონაკლის შემთხვევაში, „ბანკის“ აქციონერი საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ის პასუხისმგებლობის მუხლუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად იყენებს და საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
- 5.9. თანაბარ პირობებში აქციონერებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ, იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ეს კანონით ან ამ წესდებით არის პირდაპირ გათვალისწინებული და აუცილებელია, „ბანკის“ ინტერესებიდან გამომდინარე.

- 5.10.** აქციის გადაცემის (გასხვისება) შესახებ შეთანხმება წერილობით უნდა გაფორმდეს. აქციონერი ვალდებულია აქციის გადაცემამდე (თუ ასეთი მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით) აიღოს შესაბამისი თანხმობა აქციის გასხვისებაზე საქართველოს ეროვნული ბანკიდან და გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე აცნობოს ამის თაობაზე ეროვნულ ბანკს და „ბანკს“.
- 5.11.** პირს ეკრძალება, იყოს ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი, თუ იგი ნასამართლევაა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი ნორმატიული აქტით განსაზღვრავს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის დამატებით კრიტერიუმებს.
- 5.12.** აქციონერ(ებ)ს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ „ბანკის“ მართვაში ამ წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
- 5.13.** ერთ ან რამდენიმე აქციონერს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით და „ბანკის“ სასარგებლოდ „ბანკის“ კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, „ბანკის“ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით „ბანკისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებული სარგებლის „ბანკისთვის“ გადაცემის ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობის მოთხოვნით.
- 5.14.** „ბანკის“ დივიდენდის გაცემის ზოგადი აკრძალვა დაუშვებელია და დაუშვებელია გაცემული დივიდენდის დაბრუნების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დივიდენდის მიმღებმა პარტნიორმა მისი მიღებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ დივიდენდის განაწილებისას დაირღვა კანონით ან ამ წესდებით დადგენილი ნორმები. „ბანკს“ უფლება არ აქვს გასცეს დივიდენდი, თუ ეს ბანკის გადახდისუნარიობას გამოიწვევს.
- 5.15.** „ბანკის“ აქციონერი ვალდებულია შეასრულოს სხვა მოვალეობები რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.
- 5.16. ბანკის აქციონერს უფლება აქვს:**
- 5.16.1. მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;
 - 5.16.2. „ბანკის“ აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობისას გამოთქვას თავისი აზრი „ბანკის“ საერთო კრების მიერ ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ;
 - 5.16.3. გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;
 - 5.16.4. კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს „ბანკის“ დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე;
 - 5.16.5. მიიღონ ამონაწერი „ბანკის აქციონერთა რეესტრიდან“;
 - 5.16.6. სულ მცირე 5%-ის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, შესთავაზოს და წარადგინოს აქციონერთა საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატურები მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ვადების და წესების დაცვით ;
 - 5.16.7. მიიღოს დივიდენდი;
 - 5.16.8. თავისუფლად გარდა კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისას განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული აქციები;
 - 5.16.9. შესაბამისი ოქმის (აქციონერთა საერთო კრების) შედგენიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში და წესით გაასაჩივროს „ბანკის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
 - 5.16.10. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში „ბანკს“ მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;
 - 5.16.11. მისცეს მესამე პირს უფლებამოსილება წარმოადგინოს მისი ინტერესები აქციონერთა საერთო კრებაზე, იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით.

- 5.16.12. მიიღოს ნარჩენი ქონება „ბანკის“ ლიკვიდაციის შედეგად;
- 5.16.13. „ბანკს“ კანონით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება „ბანკის“ რეორგანიზაციას.
- 5.16.14. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერ(ებ)ს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს მოსთხოვონ წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) „ბანკის“ ინტერესების შესაბამისად აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს „ბანკის“ მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან კანონით დადგენილ ვადაში მოიწვიონ საერთო კრება.
- 5.16.15. აქციონერ(ებ)ს გააჩნია „ბანკის“ დამატებით ემისირებული/გამოშვებული აქციებისა და „ბანკის“ მიერ გამოშვებული სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის უფლება მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით ანდა აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
- 5.16.16. განახორციელოს კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.
- 5.17. ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, ამ მუხლის „5.16.“ პუნქტის ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების გარდა, უფლება აქვთ:**
- 5.17.1. ბანკის შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ „ბანკის“ სახელით დადებული გარიგებების ასლები. „ბანკის“ შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, „ბანკის“ ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაცემაზე;
- 5.17.2. მოითხოვონ „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;
- 5.17.3. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება;
- 5.17.4. მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
- 5.18. აქციების, სულ მცირე, 5%-ის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე „ბანკი“ ვალდებულია განახორციელოს „ბანკის“ სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, თუ ის კანონით არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს, რისთვისაც იგი ნიშნავს სპეციალურ აუდიტორს. აქციონერს, რომლის ინტერესსაც ეხება ბანკის სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმება, ხმის უფლება არ აქვს.**
- 5.19. თუ „ბანკმა“ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის ვალდებულებების მიმართ, აქციონერს შეუძლია „ბანკის“ ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი ჩაითვლება სათანადო მოსარჩელედ, თუ „ბანკი“ აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება „ბანკის“ ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, „ბანკი“ ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოს გარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. „ბანკი“ თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა „ბანკისათვის“.**

5.20. აქციონერი ვალდებულია:

- 5.20.1. განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;

- 5.20.2. „ბანკს“ ან აქციათა რეგისტრატორს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია „ბანკის აქციათა რეესტრში“;
- 5.20.3. შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და ამ წესდებით.

6. მუხლი. ბანკის აქციონერების მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება

- 6.1. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ნებისმიერ აქციონერს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია „ბანკის“ საქმიანობის შესახებ და მისცეს „ბანკის“ დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება.
- 6.2. საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უფლება აქვს საერთო კრების მიმდინარეობისას, კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, „ბანკის“ ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.
- 6.3. „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს.
- 6.4. „ბანკის“ ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:
- 6.4.1. შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ „ბანკს“ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;
 - 6.4.2. შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;
 - 6.4.3. დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას „ბანკის“ ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.
- 6.4. ინფორმაციის მიწოდებაზე „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიეწოდება. „ბანკმა“ იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.
- 6.5. თუ საერთო კრების დაწყებამდე „ბანკმა“ თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიაწოდა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის.

7. მუხლი. ბანკის აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ

- 7.1. დომინანტ აქციონერად მიიჩნევა აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე. ეს აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ვალდებულია, „ბანკისათვის“ მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიაღდა „ბანკისთვის“ მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.
- 7.2. თუ „ბანკის“ დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა „ბანკის“ საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
- 7.3. პირი, რომელიც განზრახ იყენებდა თავის ძალაუფლებას „ბანკის“ საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ზემოქმედებას ახდენდა „ბანკის“ მმართველი ორგანოს წევრზე, რათა ამ წევრს „ბანკის“ საწინააღმდეგო ისეთი ქმედება ჩაედინა, რომელმაც ზიანი გამოიწვია, ვალდებულია „ბანკს“ აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. აღნიშნული პირი ვალდებულია, „ბანკისათვის“ მიყენებული

ზიანის გარდა, ანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა „ბანკისათვის“ მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.

- 7.4. „ბანკის“ მმართველი ორგანოს წევრი, რომელმაც არ შეასრულა მოვალეობა, პასუხს აგებს სოლიდარულად, ამ მუხლის „7.3“ პუნქტით გათვალისწინებულ პირთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ამ ქმედების მოწონება საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრს არ ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ხელმძღვანელი პირი ვალდებული არ არის ანაზღაუროს ზიანი, თუ მისი ქმედება კანონის შესაბამისად მიღებულ საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.
- 7.5. „ბანკისათვის“ მიყენებული ზიანისთვის სოლიდარულად აგებს პასუხს ის პირიც, რომელმაც ზიანის გამომწვევი ქმედების შედეგად სარგებელი მიიღო და განზრახ მოახდინა ზემოქმედება „7.3“ პუნქტით გათვალისწინებულ პირზე.
- 7.6. კრედიტორისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უქმდება „ბანკის“ მიერ შესაბამის მოთხოვნებზე უარის თქმით ან იმაზე მითითებით, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

8. მუხლი. შენატანი

- 8.1. შენატანი არის „ბანკისათვის“ საკუთრებაში გადაცემული ქონება, რომლის ეკონომიკური ღირებულება აისახება „ბანკის“ ბალანსში.
- 8.2. „ბანკის“ კაპიტალში შენატანის შეტანის განხორციელების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ფულადი შენატანით.
- 8.3. ფულადი შენატანი განხორციელებულად ითვლება „ბანკის“ მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან.
- 8.4. აქციონერის მოთხოვნისას, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა გასცეს წერილობითი ცნობა შენატანის განხორციელების ვალდებულების, მისი შესრულების ან ნაწილობრივი შესრულების, ასევე შესრულების ვადებისა და პირობების შესახებ.
- 8.5. შენატანის განხორციელების ცნობის ბრალეულ უზუსტობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ ორგანოს.
- 8.6. დაუშვებელია აქციონერის გათავისუფლება შენატანის შეტანის ვალდებულებისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. მუხლი. ბანკის მმართველი ორგანოები

9.1. ბანკის მმართველი ორგანოებია:

- 9.1.1. აქციონერთა საერთო კრება;
- 9.1.2. სამეთვალყურეო საბჭო;
- 9.1.3. დირექტორატი - შემდგომში დირექტორატი/დირექტორ(ებ)ი ან/და ხელმძღვანელი ორგანო.

- 9.2. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიმღებ უმაღლეს ორგანოს „ბანკში“.
- 9.3. სამეთვალყურეო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს „ბანკის“ ბიზნეს პოლიტიკას და შესაბამის ინსტრუქციებს და მითითებებს აძლევს „ბანკის“ დირექტორატს და სხვა ქვემდგომ ორგანოებს. სამეთვალყურეო საბჭო, ასევე ადგენს დირექტორატის წევრთა შემადგენლობას.
- 9.4. „ბანკის“ დირექტორთა საბჭო (დირექტორ(ებ)ი) პასუხისმგებელია „ბანკის“ ყოველდღიურ საქმიანობაზე და მას სახელმძღვანელო და წარმომადგენლობითი ფუნქციები აკისრია. „ბანკის“ დირექტორ(ებ)ი ხელმძღვანელობენ და სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით დამოუკიდებლად ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე) ანდა დირექტორები ერთობლივად

წარმოადგენენ „ბანკს“ მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხისმგებელნი არიან „ბანკის“ ყოველდღიურ საქმიანობაზე.

- 9.5.** „ბანკის“ აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, მათ შორის აქციონერთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა უფლებები, ფინქციები, ამოცანები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გაწერილია შესაბამის კანონმდებლობაში, დეტალურად ჩამოყალიბებულია ამ წესდების მომდევნო მუხლებშიც და ასევე მათი საქმიანობის შესახებ სათანადო დებულებებში.
- 9.6.** „ბანკის“ ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

10. მუხლი. საერთო კრება

- 10.1.** საერთო კრება მიმდინარეობს კანონითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.
- 10.2.** კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის შემთხვევების გარდა, საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს „ბანკის“ ყველა აქციონერს.
- 10.3.** თუ „ბანკს“ ერთადერთი აქციონერი ჰყავს, აქციონერთა კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.
- 10.4.** აქციონერთა საერთო კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუკი კრებას ყველა აქციონერი ესწრება და ყველა მათგანი თანახმაა კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. თანხმობად ჩაითვლება, თუკი აქციონერის მხრიდან არ იქნება გაცხადებული მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის შესახებ მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.
- 10.5.** საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო.
- 10.6.** საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა „ბანკის“ აქციონერებისა და ორგანოებისთვის.
- 10.7.** საერთო კრება მოიწვევა კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 10.8.** „ბანკის“ წლიური საერთო კრება ტარდება სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა;
- 10.9.** საერთო კრება მოიწვევა ხელმძღვანელი ორგანოს მიერ.
- 10.10.** თუ ხელმძღვანელი ორგანო არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება.
- 10.11.** გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, რის შესახებაც დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საერთო კრება მოწვეული აქციონერთა ინიციატივით.
- 10.12.** აუცილებლობის შემთხვევაში „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.
- 10.13.** საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. „ბანკის“ ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.
- 10.14.** თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

- 10.15.** „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრება მოიწვიოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით და გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხი.
- 10.16.** საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, სულ მცირე, 21 დღით ადრე. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება აგრეთვე „ბანკის“ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ (თარიღი და დღის წესრიგის მითითებით) კრებაში შესაძლო მონაწილეობის მისაღებად აქციონერებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა მიეწოდოს ეროვნულ ბანკს.
- 10.17.** ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს „10.16“ პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის, სულ მცირე, 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.
- 10.18.** საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება „ბანკის“ ხელმძღვანელ ორგანოს.
- 10.19. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:**
- 10.19.1. „ბანკის“ საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;
 - 10.19.2. საერთო კრების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დროს;
 - 10.19.3. აღნიშვნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;
 - 10.19.4. საერთო კრების საადრისხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საადრისხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
 - 10.19.5. საერთო კრების დღის წესრიგს;
 - 10.19.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).
- 10.20** საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.
- 10.21** თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების ახალი რედაქციის მიღება, წესდების ახალი რედაქცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.
- 10.22** „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნონ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები და მიუთითონ ამ გადაწყვეტილებების საფუძვლები.
- 10.23** კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს ბანკის ხელმძღვანელ ორგანოს და:
- 10.23.1 მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;
 - 10.23.2 წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.
- 10.24.** თუ „10.23“-ე პუნქტის „10.23.1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, „ბანკი“

ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი ამ მუხლის „10.16“ პუნქტით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.

- 10.25.** ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურები, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე, სულ მცირე, 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს და კანონით დადგენილი კრიტერიუმების შესაფერისობის შესახებ ინფორმაციას.
- 10.26.** ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერთა ჯგუფის მიერ „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურების წარდგენის უფლების გამოყენებისას საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი საკითხების დამატების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
- 10.27.** საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. შესაბამისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს ხარჯები ეკისრება „ბანკს“.
- 10.28.** საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.
- 10.29.** საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც საერთო კრების სააღრიცხვო დღისთვის აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ.
- 10.30.** საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. ამ მუხლის „10.17“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.
- 10.31.** საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სია უნდა შეიცავდეს უფლებამოსილი პირების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ მონაცემებს, აქციათა და პარტნიორთა კატეგორიას, ხმათა რაოდენობასა და მისამართს, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის შესახებ.
- 10.32.** აქციონერს უფლება აქვს „ბანკს“ მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა. აქციონერის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საერთო კრების მოწვევის პროცედურის არსებით დარღვევად მიიჩნევა. აქციონერის სტატუსის დადასტურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ აქციონერის იდენტიფიცირებისთვის და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც პროპორციულია ამ მიზნის მისაღწევად.
- 10.33.** აქციონერის უფლება, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი აქცია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სააღრიცხვო თარიღს/დღეს და საერთო კრების მოწვევის თარიღს შორის პერიოდში, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვას, რომელიც, ჩვეულებრივ, არ იმოქმედებდა მის მიმართ. ამასთან ერთად აქციონერის მიერ თუ ხდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელოვანი წილის გასხვისება ეს გარიგება უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე გარიგება ბათილია, თუ დაინტერესებულმა პირმა (შემძენმა) ეროვნულ ბანკს შესაბამისი დეკლარაცია არ წარუდგინა ან ეროვნული ბანკისგან დასაბუთებული უარი მიიღო, მაგრამ მაინც შეიძინა „ბანკის“ მნიშვნელოვანი წილი.

10.34. საერთო კრების მონაწილეთა სიის სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

11. მუხლი. საერთო კრების ჩატარება

- 11.1.** აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.
- 11.2.** წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად. ამასთან, თუ „ბანკი“ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, აქციონერებს თავად ან მესამე პირის მეშვეობით უნდა შესთავაზოს შეტყობინების, სულ მცირე, ერთი ეფექტიანი ელექტრონული საშუალება. აღნიშნული წესი ვრცელდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტაზეც.
- 11.3.** ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.
- 11.4.** დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.
- 11.5.** წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად.
- 11.6.** თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.
- 11.7.** ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში.
- 11.8.** აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის „ბანკის“ მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.
- 11.9.** „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, თითო წევრს უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.
- 11.10.** „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საერთო კრებას მონაწილეები არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.
- 11.11.** საერთო კრებაზე ბანკის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს აქციონერის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით აქციონერმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას.
- 11.12.** ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება „ბანკის“ ხელმძღვანელ ორგანოს.
- 11.13.** „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიო ტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.
- 11.14.** საერთო კრება გადაწყვეტილებათუნიარია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები.

- 11.15.** საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით ან ამ წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.
- 11.16.** წესდების ახალი რედაქცია, სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილება, დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.
- 11.17.** აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.
- 11.18.** აქციონერის ხმის უფლება წარმოიშობა აქციის სანაცვლოდ შენატანის სრულად განხორციელების მომენტიდან.
- 11.19.** საერთო კრებას თავმჯდომარეობს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნისას საერთო კრებას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე. ამასთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე თუ არ ესწრებიან კრებას, კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.
- 11.20.** საერთო კრების მიმდინარეობისას კენჭისყრის ფორმას განსაზღვრავს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.
- 11.21.** საერთო კრების თავმჯდომარემ საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უნდა მისცეს მისი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისას სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.
- 11.22.** კენჭისყრის შედეგები ცხადდება საერთო კრებაზე.
- 11.23.** საერთო კრების გადაწყვეტილებით „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და ხელმძღვანელი პირის ასარჩევად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხმების აკუმულირების მეთოდი, რომლის მიხედვით:
- 11.23.1. აქციონერი თავის ყველა ხმას ანაწილებს ნებისმიერი რაოდენობის კანდიდატზე, ისე, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისას მისი ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა საერთო რაოდენობას;
 - 11.23.2. აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს კანდიდატს;
 - 11.23.3. თუ კანდიდატების რაოდენობა ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ყველა ის კანდიდატი, რომელმაც თუნდაც 1 ხმა მიიღო, არჩეულად მიიჩნევა. თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად მიიჩნევიან ის კანდიდატები, რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა მიიღეს.
- 11.24.** საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შედგეს საერთო კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე. თუ საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც. იმ შემთხვევაში, თუ „ბანკი“ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და მას ხელს აწერენ ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე.
- 11.25. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:**
- 11.25.1. „ბანკის“ საფირმო სახელწოდება;
 - 11.25.2. საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;
 - 11.25.3. ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობა;
 - 11.25.4. საერთო კრებაში მონაწილე ან საერთო კრებაზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციების რაოდენობა;
 - 11.25.5. საერთო კრების ჩატარების ფორმა, ხმის მიცემის ფორმა და მიღებული გადაწყვეტილებები საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობის მიხედვით;

11.25.6. ყოველი გადაწყვეტილებისთვის – იმ აქციების რაოდენობა, რომლებიდან გამომდინარეც მართლზომიერად იყო ხმები მიცემული, ამ ხმებით წარმოდგენილი წილი განთავსებულ კაპიტალში, ხმების საერთო რაოდენობა, როგორც გადაწყვეტილების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობა და მათი რაოდენობა, ვინც ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

11.26. საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის დამადასტურებელი ყველა საბუთი.

12. მუხლი. საერთო კრების კომპეტენცია

12.1. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს კანონითა და ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის:

- 12.1.1. წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ;
- 12.1.2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- 12.1.3. „ბანკის“ მართვის სისტემის (მონიტორი ანდა დუალისტური) შეცვლის შესახებ;
- 12.1.4. „ბანკის“ რეორგანიზაციის შესახებ;
- 12.1.5. „ბანკის“ დაშლის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;
- 12.1.6. „ბანკის“ მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ, თუ აღნიშნული ნებართულია მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით;
- 12.1.7. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;
- 12.1.8. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, მათი ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;
- 12.1.9. „ბანკის“ აუდიტის ანგარიშის მიღების/დამტკიცებისა და აუდიტის განმხორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;
- 12.1.10. ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;
- 12.1.11. საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენისა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ;
- 12.1.12. „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;
- 12.1.13. „ბანკის“ მიერ იმ ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება „ბანკის“ აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას ეხება;
- 12.1.14. აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილების ან დამატებითი აქციების განთავსების შესახებ;
- 12.1.15. „მეწარმეთა შესახებ“ „საქართველოს კანონით, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ გარიგებებზე თანხმობის გაცემის შესახებ.

12.2. აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, გადაცემულია „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოზე. ასევე, „ბანკის“ ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გადაცემულია „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოზე.

12.3. საერთო კრებას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები

საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

12.4. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი ნამდვილია, თუ:

- 12.4.1. საერთო კრება მოწვეულია უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით;
- 12.4.2. საერთო კრების ოქმი დამოწმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 12.4.3. საერთო კრების მოწვევის შესახებ ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულ წერილობით შეტყობინებაში/პარტნიორებისთვის გაგზავნილ მოსაწვევში მითითებულია საერთო კრების დღის წესრიგი, სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დაწყების დრო;
- 12.4.4. დაცულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესი;
- 12.4.5. საერთო კრებაზე განსახილველი საკითხი განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას;
- 12.4.6. გადაწყვეტილება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების/წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს;
- 12.4.7. გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა;
- 12.4.8. გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

12.5. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი საჩივრდება სასამართლოში.

- 12.6. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს, თუ საერთო კრების გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე განხორციელდა რეგისტრაცია.
- 12.7. ბანკის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსონ ბანკის ვებგვერდზე ან სხვაგვარად მიაწოდონ პარტნიორებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს.

13. მუხლი. სამეთვალყურეო საბჭო

- 13.1. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობაზე და თანამშრომლობს მასთან „ბანკის“ მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში. აქციონერთა კრებებს შორის „ბანკის“ საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები ამ წესდებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით არჩეულები არიან აქციონერთა საერთო კრების მიერ.
- 13.2. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ასრულებს აღმასრულებელ ფუნქციებს.
- 13.3. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 21 (ოცდაერთი) წევრისგან.
- 13.4. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 (ოთხი) წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე, რომელზეც აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გადარჩეული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, მისი შემცვლელის არჩევა უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს მომდევნო სხდომამდე. თითოეული აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადარჩევა, რის შესახებაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო

კრება. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადადგეს. ახალი ნომინანტის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში ხორციელდება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

- 13.5. სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) წევრისა, უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ წევრებს. ამასთან, მშობელი საწარმო ან/და „საბანკო“ ჯგუფის წევრი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი შვილობილი „ბანკისთვისაც“ ჩაითვლება დამოუკიდებლად, იმ პირობებში, თუ „ბანკი“ /კანდიდატი/წევრი დაადასტურებს, რომ „ბანკის“ მშობელი საწარმო სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ფაქტორები შეესაბამება „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის“ კოდექსით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.
- 13.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან კანდიდატების „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის“ კოდექსით განსაზღვრული დამოუკიდებლობა უნდა დასტურდებოდეს „ბანკის“ მიერ მის დანიშნვამდე, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული დამოუკიდებლობის შესახებ კითხვარითა და ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი შესაბამისობის ანალიზით.
- 13.7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს დამოუკიდებელ წევრად დანიშნვიდან 9 წლის გასვლის შემდგომ, ავტომატურად უწყდება დამოუკიდებელი წევრის სტატუსი. აღნიშნული ვადა აითვლება საბჭოს წევრის დანიშვნის დღიდან.
- 13.8. სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად კომპლექტდება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 20% (არანაკლებ 1 წევრი) უნდა შედგებოდეს უმცირესობაში მყოფი განსხვავებული სქესის წარმომადგენლებისგან. ამ პუნქტში ხსენებული პროცენტული მაჩვენებელი ასევე „13.5“ პუნქტში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტით, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს „ბანკმა“ სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესში.
- 13.9. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.
- 13.10. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხს. აკრძალულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიმართ რაიმე სახის წახალისების ზომების გამოყენება „ბანკის“ ხარჯებიდან.
- 13.11. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საბჭოდან გამოყვანილ უნდა იქნეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს.
- 13.12. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგინოს „ბანკი“ ხელმძღვანელ ორგანოებთან/პირებთან ურთიერთობაში.
- 13.13. სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.
- 13.14. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიაღგეს „ბანკს“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს საპატიო მიზეზი.
- 13.15. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ იქნება არჩეული ახალი წევრი, ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ახალი წევრი. აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა ნაკლებია ამ წესდებით განსაზღვრულ წევრთა რაოდენობაზე.
- 13.16. სასამართლოს მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება კანონით დადგენილი წესით ახალი წევრის არჩევისთანავე.

- 13.17.** სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.
- 13.18.** სამეთვალყურეო საბჭო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს/თანათავმჯდომარეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, თავმჯდომარედ დაინიშნება მათ შორის უხუცესი.
- 13.19.** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და თანამშრომლებთან. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე / თანათავმჯდომარე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას.
- 13.20.** „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე, შესაბამის შემთხვევებში, ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე, 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.
- 13.21.** სამეთვალყურეო საბჭოს წევრები „ბანკის“ საქმეებს უნდა უძრევბოდნენ კეთილსინდისიერად, „ბანკზე“ უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ „ბანკის“ სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობებს, წარმოშობილი ზიანისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს „ბანკის“ წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და „ბანკის“ ინტერესებიდან გამომდინარე. რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე „ბანკის“ უარი ან კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია „ბანკის“ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუნარიანია ან გაკოტრების თავიდან აცილების ანდა საბანკო საქმიანობის შეწყვეტის მიზნით მოურიგდება თავის კრედიტორებს. თუ ანაზღაურება აუცილებელია „ბანკის“ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, „ბანკის“ ადმინისტრატორთა ვალდებულება არ წყდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მოქმედებდნენ აქციონერთა გადაწყვეტილების შესაბამისად.
- 13.22.** სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს „ბანკის“ ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. მათ უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორ(ებ)ის შერჩევა და შენარჩუნება, „ბანკის“ საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერიკობით ჩამოყალიბება.
- 13.23.** „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ან მისი წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

14. მუხლი. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

14.1. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:

- 14.1.1. ბანკის ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს „ბანკის“ საქმიანობის ანგარიში;
- 14.1.2. გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს „ბანკის“ საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, ბანკის ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;
- 14.1.3. შეამოწმოს „ბანკის“ ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
- 14.1.4. წარმოადგინოს „ბანკი“ ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;

- 14.1.5. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები.
- 14.1.6. შეასრულოს კანონმდებლობითი და წესდებით მინიჭებული სხვა ფუნქციები.

14.2. სამეთვალყურეო საბჭო თავისი ექსკლუზიური კომპეტენციის ფარგლებში:

- 14.2.1. განსაზღვრავს „ბანკის“ ბიზნეს პოლიტიკას, იღებს და ამტკიცებს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს;
- 14.2.2. ამტკიცებს, „ბანკის“ დირექტორატის მიერ წარმოდგენილ ღონისძიებებს (საქმიანობის), წლიურ გეგმას (წლიური საოპერაციო ბიუჯეტის ჩათვლით);
- 14.2.3. ამზადებს რეკომენდაციებს აქციონერთა საერთო კრებისათვის, ასრულებს აქციონერთა საერთო კრების მითითებებს; თავმჯდომარის (მისი არყოფნისას - მოადგილის/თანათავმჯდომარის) საშუალებით იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, თუ ამას ითხოვს „ბანკის“ ინტერესები; სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე/თანათავმჯდომარე) ამტკიცებს საერთო კრებების დღის წესრიგს;
- 14.2.4. ამტკიცებს საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების აღეკვადური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკებს და პროცედურებს. ასევე, ამტკიცებს „ბანკის“ საკრედიტო კომიტეტის, დირექტორატის, კორპორაციული მდივნის და აუდიტის შესახებ შიდა დებულებებს, რომელთა ფუნქციონირება საჭიროა კოლეგიური გადაწყვეტილებების მისაღებად;
- 14.2.5. ამტკიცებს „ბანკის“ მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობას და განსაზღვრავს მათ;
- 14.2.6. განიხილავს და ამტკიცებს ფინანსური წლის განმავლობაში დირექტორატის მიერ წარმოდგენილ ბიზნეს ოპერაციების ანგარიშებს და ამზადებს აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენ „ბანკის“ წლიურ ანგარიშს;
- 14.2.7. კონტროლს უწევს „ბანკის“ დირექტორატის საქმიანობას, ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოსთხოვოს დირექტორატს ანგარიში „ბანკის“ საქმიანობის შესახებ, შვილობილ და სხვა საწარმოებთან დაკავშირებული ურთიერთობების ჩათვლით;
- 14.2.8. აკონტროლებს და ამოწმებს საბუღალტრო წიგნებს, აგრეთვე ქონებრივ ობიექტებს, კერძოდ: „ბანკის“ ფასიან და საღარო ქაღალდებს. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის, სხვა წესების და ნორმების დაცვით გადასცეს აღნიშნული ფუნქციები „ბანკის“ ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს და ცალკეულ ექსპერტებს;
- 14.2.9. ამოწმებს წლიურ ბალანსებს, ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშებს, დირექტორატის წინადადებებს მოგების განაწილების შესახებ და მოახსენებს ამის შესახებ საერთო კრებას; სამეთვალყურეო საბჭო თავის ანგარიშში ვალდებულია მიუთითოს, როგორ და რა მოცულობით განხორციელდა „ბანკის“ დირექტორატის შემოწმება წინა სამეურნეო წლის განმავლობაში და მოახდინა თუ არა გატარებულმა შემოწმებამ რაიმე ცვლილებები საბოლოო შედეგებზე;
- 14.2.10. თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს ირჩევს დირექტორატის (დირექტორ(ებ)ს) წევრებს, გენერალური დირექტორის ჩათვლით და ნიშნავს და ათავისუფლებს მათ დირექტორობიდან. განსაზღვრავს დირექტორ(ებ)ის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ეს უფლებამოსილება არის ერთობლივი თუ ცალცალკე. ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს და საჭიროების შემთხვევაში ადგენს მათი უფლებამოსილების ფარგლებს, თუ აღნიშნული არ რეგულირდება წესდებით, საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებებით, შიდა დებულებებით ანდა მოქმედი კანონმდებლობით;
- 14.2.11. გასცემს მითითებებსა და დირექტივებს დირექტორატის საქმიანობასთან დაკავშირებით, დირექტორატის მოთხოვნის საფუძველზე ამტკიცებს დირექტორატის გადაწყვეტილებებს/დადგენილებებს;

- 14.2.12. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით „ბანკის“ სახელით აღძრავს სასამართლო საქმეს/პროცესს ღირეპტორთა წინააღმდეგ. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია აქციონერთა კრების გადაწყვეტილების გარეშე შეიტანოს სარჩელი სასამართლოში ღირეპტორების წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ეს შეეხება ღირეპტორატის წევრების პასუხისმგებლობის საკითხს და ასეთი ქმედება არაა შეზღუდული მოქმედი კანონმდებლობით;
- 14.2.13. იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს „ბანკის“ დაფინანსების შესახებ, იქნება ეს სესხების აღება, ობლიგაციების გამოშვება ან სხვა რაიმე ფორმა და შესაბამისად მითითებებს აძლევს ბანკის ღირეპტორატს ამ გადაწყვეტილებების შესასრულებლად;
- 14.2.14. თავისი ძალებით ან „ბანკის“ ღირეპტორატისადმი მითითებების გაცემის საშუალებით ახორციელებს აქციონერთა საერთო კრების მორიგ და რიგგარეშე სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- 14.2.15. ამტკიცებს „ბანკსა“ და მისი ღირეპტორატის ნებისმიერ წევრს შორის და/ან სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრთან დადებულ იმ გარიგებებს, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით ან ამ წესდებით, იმ პირობით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი, რომელიც მონაწილეობს ან ინტერესი გააჩნია ამგვარ გარიგებაში მონაწილეობას არ მიიღებს ამ საკითხის შესახებ გამართულ განხილვასა და კენჭისყრაში;
- 14.2.16. საჭიროების შემთხვევაში აუდიტორისგან მოითხოვს უშუალო ანგარიშგებას;
- 14.2.17. იღებს გადაწყვეტილებებს ნებისმიერი ფორმით ბანკის მოძრავი და სხვა არამატერიალური აქტივების (ქონების) შეძენის, გასხვისების, გაცვლის ან უფლებრივად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება „ბანკის“ აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე ნაკლებია და შეადგენს და აღემატება „ბანკის“ საერთო კაპიტალის 10%-ს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას ანდა არ შედის აქციონერთა კრების კომპეტენციაში;
- 14.2.18. იღებს გადაწყვეტილებებს ინვესტიციების დაბანდებაზე ან დაბრუნებაზე და სხვა მსგავსი გარიგებების შესახებ; ასევე, იღებს გადაწყვეტილებებს საჭიროებისას ვალდებულებათა აღებაზე და მათ უზრუნველყოფაზე, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ღირეპტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;
- 14.2.19. იღებს გადაწყვეტილებებს შვილობილი საწარმოების შექმნა ლიკვიდაციაზე, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ „ბანკის“ ფილიალების, წარმომადგენლობების, შექმნაზე და მათ ლიკვიდაციაზე შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და პირობებით;
- 14.2.20. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იღებს გადაწყვეტილებებს „ბანკის“ ფილიალების წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების გახსნის და დახურვის, შესახებ ასევე მათი ხელმძღვანელების (მმართველების), მათი მოადგილეების და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის ანდა გათავისუფლების შესახებ შესახებ; ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, ფილიალების წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების ხელმძღვანელების (მმართველების), მოადგილეების მოვალეობის შემსრულებლების უფლებამოსილებების შეჩერების შესახებ;
- 14.2.21. იღებს გადაწყვეტილებებს ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყებაზე ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტაზე;
- 14.2.22. იღებს გადაწყვეტილებებს სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნაზე და უკან გამოწვევაზე;
- 14.2.23. იღებს გადაწყვეტილებებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში „ბანკის“ მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვაზე და მის პროცედურებზე;
- 14.2.24. იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერი უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება ბანკის აქტივების საბალანსო

ღირებულების ნახევარზე ნაკლებს შეადგენს, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას ეხება;

- 14.2.25. განსაზღვრავს „ბანკის“ ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურებას. ასევე განსაზღვრავს აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებებს.
- 14.2.26. ასრულებს ამ წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ დებულებით, აქციონერთა ანდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებს. მათ შორის, იმ ამოცანებს, რომელთა შესრულებაც ამ წესდებით ანდა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დელეგირებულია სამეთვალყურეო საბჭოზე და ასევე, იმ ამოცანებს, რომელთა შესასრულებლად არ მოითხოვება აქციონერთა საერთო კრების მიერ უფლებამოსილების გაცემა

15. მუხლი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

- 15.1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ მაინც.
- 15.2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მისი არყოფნისას მისი მოადგილე/თანათავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომების ჩატარება.
- 15.3. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან/მოადგილისგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლიათ, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.
- 15.4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სხდომის მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება სხდომის ოქმი.
- 15.5. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სულ მცირე, ნახევარი.
- 15.6. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.
- 15.7. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით და ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა.
- 15.8. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, უნდა იყოს ოქმის სახით დაფიქსირებული და ხელმოწერილი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მიერ. ოქმს ადგენს სხდომის თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი. კრების ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
- 15.9. სამეთვალყურეოს საბჭოს სხდომათა ჩანაწერები შემოწმებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბჭოს ყველა წევრისათვის. ასევე, სხდომის ოქმები შემოწმების მიზნით ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი აქციონერისათვის, მათი წარმომადგენლებისათვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანოებისათვის „ბანკის“ იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ადგილზე.

15.10. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უნდა გაეგზავნოთ საქართველოს ეროვნული ბანკს.

16. მუხლი. ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) და მისი შემადგენლობა

- 16.1.** „ბანკის“ დირექტორატი შედგება მინიმუმ 3 დირექტორისგან მაინც, რომელთაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 წლის ვადით. მათი განმეორებითი დანიშვნა შეუზღუდავია, თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება დირექტორ(ებ)ის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული დირექტორ(ებ)ის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.
- 16.2.** „ბანკის“ დირექტორატის წევრად (დირექტორად) არ შეიძლება დაინიშნოს ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრის თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც:
- 16.2.1. ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს;
 - 16.2.2. კანონის შესაბამისად არ აქვს უფლება დაიკავოს აღგილი დირექტორატი;
 - 16.2.3. გამოცხადებულია გაკოტრებულად;
 - 16.2.4. რომელსაც არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.
- 16.3.** „ბანკს“ ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმომადგენს დირექტორი/დირექტორები.
- 16.4.** დირექტორი შეიძლება იყოს როგორც ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი. დირექტორის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და დირექტორ(ებ)ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.
- 16.5.** „ბანკის“ დირექტორები ერთობლივად შეადგენენ ხელმძღვანელ ორგანოს დირექტორატს რომელიც ვალდებულია შეასრულოს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.
- 16.6.** „ბანკის“ დირექტორატი ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.
- 16.7.** დირექტორ(ებ)თან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელსაც „ბანკის“ დირექტორად დანიშვნის შემდეგ „ბანკის“ სახელით დებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან/და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე.
- 16.8.** თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო „ბანკის“ დირექტორატის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, „ბანკს“ აქვს ამ ხელშეკრულების შეცვლის უფლება. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი დირექტორი და კონტრაქტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაღწეს იმ სამეწარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.
- 16.9.** იმის გათვალისწინებით, რომ „ბანკს“ უნდა ყავდეს რამდენიმე (მაგრამ მინიმუმ სამი) დირექტორი, დირექტორატის წევრი - გენერალურ დირექტორი განსაზღვრულია დირექტორატის თავმჯდომარედ.
- 16.10.** გენერალური დირექტორის უფლებამოსილების ვადა დირექტორატის თავმჯდომარის პოზიციაზე არ აღემატება მის უფლებამოსილების ვადას.
- 16.11.** დირექტორატის თავმჯდომარე, როგორც კოლეგიური ორგანოს წარმომადგენელი, კოორდინაციას უწევს „ბანკის“ დირექტორატის საქმიანობას, თავმჯდომარეობს დირექტორატის სხდომებს და აკონტროლებს დირექტორატის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.

- 16.12.** ღირექტორატის თავმჯდომარემ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ღირექტორატის და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.
- 16.13.** თუ ჭიანურდება „ბანკის“ იმ ღირექტორის დანიშვნა, რომლის გარეშეც ბანკი თავის საქმიანობას ვერ ახორციელებს, აქციონერის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობით და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად ღირექტორი შეიძლება დანიშნოს სასამართლომ ანდა ამისათვის უფლებამოსილმა ორგანომ. სასამართლოს ანდა ამისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანიშნულ ბანკის ღირექტორს უფლება აქვს თავისი საქმიანობისთვის „ბანკს“ მოსთხოვოს გასამრჯელო და გონივრულ ფარგლებში ფულადი დანახარჯების ანაზღაურება. სასამართლოს ანდა ამისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანიშნულ ღირექტორსა და „ბანკს“ შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლომ ან ამისათვის უფლებამოსილმა ორგანომ თავად უნდა განსაზღვროს აღნიშნული გასამრჯელოს და ასანაზღაურებელი ფინანსური დანახარჯების ოდენობები.
- 16.14.** სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ღირექტორი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.
- 16.15.** „ბანკის“ ღირექტორატი ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.
- 16.16.** „ბანკის“ ღირექტორატი გადაწყვეტილებას იღებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის, კანონით გათვალისწინებულ გარიგებაზე თანხმობის გაცემისა და „ბანკის“ მიერ სხვა იურიდიული პირის დაფუძნების ან მისი წილობრივი მონაწილეობის შესახებ.
- 16.17.** ღირექტორატის ფუნქციები ბანკის ხელმძღვანელობის სფეროში არ შეიძლება გადაეცეს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს.
- 16.18.** „ბანკის“ ღირექტორატი (შესაბამისი ღირექტორი) ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და მასთან დაკავშირებული ყველა ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს „ბანკის“ ვებგვერდზე.
- 16.19.** ყველა საკითხი, რომლებიც კანონით ან ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, განეკუთვნება „ბანკის“ ღირექტორატის კომპეტენციას.
- 16.20.** ღირექტორი ვალდებულია „ბანკის“ საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.
- 16.21.** ღირექტორი „ბანკის“ წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია შეიზღუდოს ღირექტორის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.
- 16.22.** ღირექტორის მიერ „ბანკისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ღირექტორატს, სხვა ღირექტორს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – თითოეულ პარტნიორს.
- 16.23.** ღირექტორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.
- 16.24.** თუ „ბანკი“ გადახდისუნაროა ან გადახდისუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ღირექტორატმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით უნდა განაცხადოს გადახდისუნარობის თაობაზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ასევე შესაბამისი კანონით დადგენილი წესით. გადახდისუნარობის შესახებ განცხადება ბრალეულად გაჭიანურებული არ არის, თუ ღირექტორატი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

17. მუხლი. დირექტორატის სხდომები

- 17.1.** დირექტორატის სხდომები იმართება სულ ცოტა თვეში ორჯერ მაინც. გენერალურ დირექტორს (დირექტორატის თავმჯდომარეს) შეუძლია, აგრეთვე, მოიწვიო რიგგარეშე სხდომები;
- 17.2.** დირექტორატი იღებს გადაწყვეტილებებს, იმ საკითხებზე, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის, „ბანკის“ წესდების, სამეთვალყურეო საბჭოს და წინამდებარე შინაგანაწესით შედის დირექტორატის კომპეტენციის ფარგლებში ასევე მიეკუთვნება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას და არ მიეკუთვნება აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას;
- 17.3.** დირექტორატის სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს იმ დირექტორისთვის, რომელთან დაკავშირებული საკითხიც განიხილება სხდომაზე.
- 17.4.** დირექტორატის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. თუ სხდომას არ ესწრება დირექტორატის თავმჯდომარე, დამსწრე წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს.
- 17.5.** „ბანკის“ დირექტორატი გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დირექტორატის თავმჯდომარის/სხდომის თავმჯდომარის ხმა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი
- 17.6.** „ბანკის“ დირექტორატი გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი ხმების უბრალო უმრავლესობით;
- 17.7.** დირექტორატის სხდომაზე საკითხების გადაწყვეტისას, დირექტორატის ყოველ წევრს გააჩნია ერთი ხმის უფლება;
- 17.8.** ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია, თუ სხდომას არ ესწრება გენერალური დირექტორი მაშინ გადამწყვეტი ხმა გააჩნია სხდომის თავმჯდომარეს;
- 17.9.** „ბანკის“ დირექტორატის წევრის მიერ თავისი ხმის უფლების გადაცემა სხვა პირისთვის, მათ შორის დირექტორატის სხვა წევრებისთვის, აკრძალულია;
- 17.10.** დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს გენერალური დირექტორი (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ან და სხდომის თავმჯდომარე) და სხდომის მდივანი. ხოლო, საპატიო მიზეზით გენერალური დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და დირექტორთა საბჭოს ყველა წევრი და სხდომის მდივანი. სურვილის შესაბამისად ოქმი შეიძლება ხელმოწერილი იყოს ოქმზე ხელმოწერის სურვილის მქონე და დირექტორატზე დამსწრე დირექტორატის ნებისმიერი წევრის მიერ;
- 17.11.** „ბანკის“ დირექტორატის საქმიანობა, დირექტორატის სხდომების ჩატარების წესი, დირექტორატის სხდომების ოქმების შედგენის ფორმა და წესები დამატებით შეიძლება განისაზღვროს დირექტორატის შესახებ დებულებით/რეგლამენტით.

18. მუხლი ბანკის დირექტორატის კომპეტენციის ფარგლები

- 18.1.** ბანკის დირექტორატი თავის კომპეტენციის ფარგლებში:
 - 18.1.1.** ყოველთვიური ანგარიშების წარდგენის საშუალებით აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს თავისი საქმიანობის შესახებ;
 - 18.1.2.** ამზადებს „ბანკის“ წლიურ ბიზნეს გეგმას;
 - 18.1.3.** გენერალური დირექტორის მეშვეობით სამსახურეობრივ პოზიციებზე ნიშნავს ანდა ათავისუფლებს „ბანკის“ თანამშრომლებს, დებს ან აუქმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, განსაზღვრავს მათ შრომით ანაზღაურებას (ხელფასი/პრემია/ბონუსი), დამტკიცებული საშტატო განაკვეთის ან სხვა დოკუმენტის მიხედვით.

- 18.1.4. სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამტატო განრიგს და თანამშრომლების შრომითი ანაზღაურების ერთიან ფონდს.
- 18.1.5. „ბანკის“ საქმიანობის ორგანიზების მიზნით ამტკიცებს „ბანკის“ შიდა დოკუმენტებს მათ შორის: „ბანკის“ შიდა სამსახურების დებულებებს, საადრიცხვო კომიტეტის, სატარიფო კომიტეტის, საბიუჯეტო კომიტეტის, სატენდერო კომიტეტის, ტექნოლოგიების კომიტეტის, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის, სამსახურეობრივი წახალისების კომიტეტის, რისკების მართვის კომიტეტის, საკრედიტო კომიტეტის რეგლამენტს და ბანკის სხვა სახის შიდა საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომელთა ფუნქციონირება საჭიროა კოლეგიური გადაწყვეტილებების მისაღებად და რომლის დამტკიცებაც არ შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში. იღებს გადაწყვეტილებებს აღნიშნულ კომიტეტებში „ბანკის“ მოსამსახურეთა სახელობით ანდა თანამდებობრივი პოზიციების მიხედვით შეყვანის ანდა გამოყვანის შესახებ;
- 18.1.6. ამტკიცებს „ბანკისთვის“ ფინანსური რესურსების მოზიდვის და განთავსების პოლიტიკას;
- 18.1.7. ამტკიცებს „ბანკის“ შინაგანაწესს;
- 18.1.8. ამტკიცებს „ბანკის“ შიდა სტრუქტურული ერთეულების შესახებ დებულებებს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;
- 18.1.9. ამტკიცებს „ბანკის“ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობების მარეგლამენტირებელ დებულებებს;
- 18.1.10. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იღებს გადაწყვეტილებებს: ფილიალების წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების გახსნის და დახურვის საკითხის სამეთვალყურეო საბჭოზე გატანის შესახებ. ასევე მათი ხელმძღვანელების (მმართველების), მათი მოადგილეების და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის ანდა გათავისუფლების შესახებ საკითხის სამეთვალყურეო საბჭოზე გატანის შესახებ; ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, ფილიალების წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების ხელმძღვანელების (მმართველების), მოადგილეების მოვალეობის შემსრულებლების უფლებამოსილებების შეჩერების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას.
- 18.1.11. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ფილიალების ხელმძღვანელებს (მმართველებს), მათ მოადგილეებს და მოვალეობის შემსრულებლებს უჩერებს მათ უფლებამოსილებებს;
- 18.1.12. ამუშავებს „ბანკის“ და მისი ქვეგანყოფილებების პერსონალის შერჩევის, მომზადების და გადაზამდების კონცეფციას;
- 18.1.13. ამოწმებს „ბანკის“ საქმიანობის შესაბამისობას „ბანკის“, იმ შიდა დოკუმენტებთან, რომლებიც განსაზღვრავენ „ბანკის“ შიდა კონტროლის განხორციელების წესს; და აძლევს შეფასებას რამდენად შეესაბამება ზემოაღნიშნული დოკუმენტების შინაარსი „ბანკის“ საქმიანობის მასშტაბებს და ხასიათს;
- 18.1.14. გამოსცემს პერსონალის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანებებს;
- 18.1.15. განიხილავს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ პერიოდული შეფასების მასალებს და შედეგებს;
- 18.1.16. ამზადებს და ამტკიცებს, იმ ინფორმაციის და დოკუმენტების ნუსხას, რომელიც შეიცავს საიდუმლო და კონფიდენციალურ მონაცემებს და რომელიც წარმოადგენს საბანკო, კომერციულ და სხვა სახის საიდუმლოს, რომელიც დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- 18.1.17. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დრო და დრო დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს;
- 18.1.18. წინასწარ იხილავს საკითხებს, რომლებიც უნდა განხილული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ან აქციონერთა საერთო კრებაზე; ამზადებს ზემოთხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტებს; იხილავს და წარუდგენს

- სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებად ბანკის საქმიანობის გეგმებს და აგრეთვე, ანგარიშებს აღნიშნული გეგმების შესრულების შესახებ;
- 18.1.19. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოწვევის შემთხვევაში, სრული შემადგენლობით (ან მისი ნებისმიერი წევრი) ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს;
 - 18.1.20. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით ამზადებს ყველა საჭირო ანგარიშს;
 - 18.1.21. ასრულებს „ბანკის“ აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხვა დავალებას, მითითებას და გადაწყვეტილებას, ამასთან აღნიშნულის განხორციელებისას ღირქტორატმა უნდა უზრუნველყოს, წინამდებარე წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების დაცვა;
 - 18.1.22. ახორციელებს „ბანკის“ ბიზნეს ოპერაციების მართვას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ან „ბანკის“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად;
 - 18.1.23. ამზადებს და წარუდგენს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებებს ბანკში გამოყენებული წესების და დებულებების, რომლის დამტკიცებაც შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში ცვლილებებზე;
 - 18.1.24. მოქმედი კანონმდებლობის დაცვით საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს აწვდის შესაბამის ინფორმაციას;
 - 18.1.25. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით იწვევს აქციონერთა კრებას და ამზადებს შესაბამის მასალას;
 - 18.1.26. იძენს ცნობილი სადაზღვევო კომპანიებისაგან „ბანკის“ ოპერაციების წარმართვისათვის აუცილებელ სადაზღვევო პოლისებს;
 - 18.1.27. ახორციელებს „ბანკის“ წესდებით, შინაგანაწესით, დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას და გააჩნია სხვა უფლებამოსილებები, რომელიც არ შედის „ბანკის“ სხვა მმართველობითი ორგანოების კომპეტენციაში და რომლებიც დელეგირებულია ღირქტორებზე მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
 - 18.1.28. დამოუკიდებლად წარმოადგენს „ბანკს“ მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში და გარიგებებში;
 - 18.1.29. „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე უფლებამოსილია ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში თავისი უფლებამოსილება დელეგირების უფლებით მთლიანად ან ნაწილობრივ სხვებს გადასცეს;
- 18.2.** ღირქტორატის უფლებამოსილება შესაძლოა შეიცვალოს ან შეიზღუდოს ან გაფართოვდეს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, თუმცა ბანკის ღირქტორატის უფლებამოსილებების და ფუნქციების სამეთვალყურეო საბჭოსათვის მინიჭება დაუშვებელია, თუ მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

19. მუხლი. ბანკის წარმომადგენლობა მესამე პირებთან

- 19.1. „ბანკს“ ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ბანკის ღირქტორ(ებ)ი ერთობლივად ან/და ცალ ცალკე (დამოუკიდებლად). შესაბამისად, ბანკის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ ბანკის ღირქტორ(ებ)ს ერთობლივად ანდა ცალ ცალკე (დამოუკიდებლად) ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 19.2. „ბანკის“ ღირქტორ(ებ)ი, როგორც ერთობლივად ისე, დამოუკიდებლად (ცალ-ცალკე) აღჭურვილნი არიან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და უფლებამოსილნი არიან „ბანკის“ სახელით გამოვიდნენ მესამე პირებთან ურთიერთობისას. კონკრეტული ღირქტორისთვის დამოუკიდებელი ერთპიროვნული (ცალ-ცალკე) ანდა ერთობლივი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხს წყვეტს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო, რის შესახებაც შესაბამისი მითითება კეთდება სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის საოქმო

გადაწყვეტილებაში და აისახება მარეგისტრირებელ ორგანოში / მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და ამონაწერში.

- 19.3.** ღირეპტორი უფლებამოსილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმომადგინოს „ბანკი“, დადოს და ხელი მოაწეროს გარიგებებს (ხელშეკრულება/შეთანხმება და სხვა), ნებისმიერი სახის დოკუმენტს ანდა წერილებს და სხვა დოკუმენტებს, განახორციელოს სხვა ფუნქციები აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ამ წესდების, „ბანკის“ შიდა საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 19.4.** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „ბანკის“ ნებისმიერმა ღირეპტორმა შესაძლოა გასცეს მინდობილობა ანდა რწმუნებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი წესით.
- 19.5.** ნებისმიერი ღირეპტორის არყოფნისას სათანადო ბრძანების ან მინდობილობის საფუძველზე კონკრეტული ღირეპტორის ფუნქციებს ახორციელებს სხვა ღირეპტორი.

20. მუხლი. ბანკის ფილიალები წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები

- 20.1.** „ბანკის“ ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნება „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.
- 20.2.** „ბანკს“ შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დააარსოს ფილიალები საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმომადგენენ.
- 20.3.** „ბანკს“ შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დააარსოს წარმომადგენლობები და ფილიალები მსგავსი სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმომადგენენ.
- 20.4.** ფილიალების, წარმომადგენლობების და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნა უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

21. მუხლი. ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა

- 21.1.** პირი (შემდგომში – დეკლარანტი), რომელიც აპირებს შეიძინოს „ბანკის“ წილი იმ რაოდენობით, რომ მისი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მონაწილეობა ამ ბანკის კაპიტალში გადააჭარბებს 10, 25 ან 50 პროცენტს, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაფერისობის დეკლარაცია (შემდგომში – დეკლარაცია)
- 21.2.** მნიშვნელოვანი წილის შეძენა ხდება იმ ფორმით და იმ წესით რაც დადგენილი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

22. მუხლი. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

- 22.1.** „ბანკში“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან იქმნება, აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტები.
- 22.2.** თითოეულ კომიტეტს გააჩნია შესაბამისი დებულება, რომელშიც გაწერილია კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, რაც მოიცავს, თუმცა, არ შემოიფარგლება კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციას.
- 22.3.** აუდიტის და რისკების კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე იწარმოება შესაბამისი ჩანაწერები, კორპორაციული მდივნის მიერ. ამასთან, კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და

რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან. აღნიშნული ინფორმაცია იმავდროულად, უნდა მიეწოდებოდეს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. საბოლოო პასუხისმგებლობა კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

- 22.4.** აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტების თავმჯდომარეები ირჩევიან სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისგან. ამასთან, კომიტეტში დამოუკიდებელ წევრთა საკმარისი რაოდენობა უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელთაც წამყვანი როლი ექნებათ კომიტეტის საქმიანობაში.
- 22.5.** თითოეულ კომიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 3 (სამი) წევრი ისეთი უფლებამოსილებით, რაც მათ საშუალებას მისცემს სათანადოდ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. კომიტეტ(ებ)ს „ბანკის“ ყველა სახის მონაცემზე აქვს წვდომა.

22.6. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების კომიტეტი გარდა სხვა ფუნქციებისა:

- 22.6.1. განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ქრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
- 22.6.2. ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად;
- 22.6.3. მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- 22.6.4. თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;
- 22.6.5. რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
- 22.6.6. მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

- 22.7.** რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია შესაბამის რეკომენდაციებზე და მოსაზრებებზე რომელიც წარედგინება საბჭოს ბანკის არსებულ და მომავალ რისკის აპეტიტთან დაკავშირებით. ამასთან, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, რისკების კომიტეტმა უნდა აწარმოოს შესაბამისი ანგარიშგება საბჭოსთან დაიდენტიფიცირებული მატერიალური რისკებისა და სხვა საკითხების, მათ შორის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურის, ეფექტური ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად, ბანკში არსებული რისკის კულტურის თაობაზე.
- 22.8.** რისკების კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელი უნდა იყოს და იმავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. ამასთან, რისკების კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, რომელთა უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.
- 22.9.** რისკების კომიტეტი მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს რისკების დირექტორთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის რისკების მართვის სისტემის ეფექტურობა და პროპორციულობა ბანკის რისკების ბუნებასთან, მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან. რისკების კომიტეტი ყველა მეხვედრაზე უნდა იწვევდეს რისკების დირექტორს.

22.10. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:

- 22.10.1. განსაზღვროს შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებაში „ბანკის“ მიდგომები და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;

- 22.10.2. მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს „ბანკის“ შიდა და გარე აუდიტორებთან;
 - 22.10.3. მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს, და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები;
 - 22.10.4. შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;
 - 22.10.5. განიხილოს და დაამტკიცოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის მასშტაბი და ჩატარების სიხშირე;
 - 22.10.6. მიიღოს შიდა აუდიტის ინდივიდუალური შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიშები და საქმიანობის პერიოდული საანგარიშგებო ინფორმაცია და უზრუნველყოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;
 - 22.10.7. მონიტორინგი გაუწიოს „ბანკის“ სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
 - 22.10.8. განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები „ბანკის“ რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე;
 - 22.10.9. უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;
 - 22.10.10. განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;
- 22.11.** აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელი უნდა იყოს და იმავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. ამასთან, აუდიტის კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, რომელთა უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.
- 22.12.** ბანკის მიმდინარე აუდიტორული ფირმის ისეთი მიმდინარე ან ყოფილი პარტნიორი, რომელიც ჩართული იყო „ბანკის“ აუდიტორული მომსახურების გაწევის პროცესში ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ბანკის აუდიტის კომიტეტის წევრი:
- 22.12.1. აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;
 - 22.12.2. თუ პოზიციის დატოვების მიუხედავად მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში.
- 22.13.** აუდიტის კომიტეტის სულ მცირე ორ წევრს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი, გამოცდილება ან უნდა გააჩნდეთ ფინანსური განათლება;
- 22.14.** აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორატის, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან.
- 22.15.** აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და ამქდანებდეს ინფორმაციას პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში.
- 22.16.** აუდიტის კომიტეტი უნდა აფასებდეს გარე აუდიტორების დამოუკიდებლობას და საჭიროების შემთხვევაში უნდა გაუწიოს რეკომენდაცია სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრებას აუდიტორული ფირმის შეცვლის თაობაზე.
- 22.17.** რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის

დაიდენტიფიცირებას, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო კორექტირებების შეტანას ბანკის რისკის მართვის ჩარჩოში.

- 22.18.** რისკების და აუდიტის კომიტეტების შემადგენლო ანდა ფუნქციები შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეიცვალოს მოქმედი რეგულაციების ცვლილებების შესაბამისად.

23. მუხლი. აკრძალული გარიგებები და მუშაობის მეთოდები

- 23.1.** „ბანკს“ არ აქვს უფლება, რომელიმე კლიენტს დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების გაწევის პირობაა ამ „ბანკის“ ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება, თუ კლიენტს არ მიეცა აღნიშნული არასაბანკო მომსახურების სხვა მომწოდებლისგან მიღების შესაძლებლობა.
- 23.2.** „ბანკის“ მაკონტროლებელ პირს/ადმინისტრატორს ეკრძალება ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის შედეგად „ბანკისგან“ მიღებული ინფორმაციის გამოყენებით იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ანდა რომელიც არასაბანკო სექტორში კონკურენციის შეზრუდვას გამოიწვევს.
- 23.3.** „ბანკის“ მაკონტროლებელი პირი და ადმინისტრატორი ვალდებული არიან, უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და არ დაუშვან საკუთარი ინტერესების „ბანკის“ ინტერესებზე მაღლა დაყენება ან თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება. „ბანკის“ მაკონტროლებელ პირს/ადმინისტრატორს, რომელსაც ხელი მიუწვდება არასაჯარო ინფორმაციაზე, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარკვეული ინვესტიციის ღირებულებაზე, ეკრძალება ამ ინფორმაციის დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად გამოყენება.
- 23.4.** ხსენებული მოთხოვნების შესასრულებლად „ბანკი“ ვალდებულია უზრუნველყოს არასაჯარო ინფორმაციის მართვასთან დაკავშირებული ადეკვატური პოლიტიკა, პროცედურების და ტექნიკური სისტემების დანერგვა და მონიტორინგი. აღნიშნული უნდა უზრუნველყოფდეს „ბანკთან, მის მაკონტროლებელ პირებთან და ადმინისტრატორებთან დაკავშირებული მხარეებისთვის ინფორმაციის არასათანადო გადინების შეზღუდვას.
- 23.5.** ბანკს ეკრძალება შერავათიანი პირობებით ნებისმიერი ადმინისტრატორისათვის, მაკონტროლებელი პირისათვის, მონათესავე საწარმოსათვის ან მათთან დაკავშირებულ პირთათვის საბანკო საქმიანობაში შემავალი ნებისმიერი პროდუქტის მიცემა ან ნებისმიერი საბანკო მომსახურების გაწევა სესხის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის, უზრუნველყოფის საშუალების, ღირებულების ან რაიმე სხვა პირობების მიუხედავად.

24. მუხლი. საბანკო საქმიანობის შეწყვეტა

- 24.1.** „საბანკო“ საქმიანობის შეწყვეტა ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 24.2.** „საბანკო“ საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება კომერციული ბანკის ლიკვიდაცია.

25. მუხლი. ბანკის შერწყმა, ლიკვიდაცია

- 25.1.** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის სხვა ბანკთან შერწყმა.
- 25.2.** აღნიშნული შერწყმის შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ძალაში შედის, მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა/პროცედურებისა.
- 25.3.** „ბანკისთვის“ საბანკო ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება მისი ლიკვიდაცია, რომლის მიზანია ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა, „დეპოზიტების

დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაზღვეული დეპოზიტების დაცვა და კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

- 25.4. „ბანკის“ ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია ლიკვიდატორად ამ ბანკთან დაკავშირებული პირის დანიშვნა.
- 25.5. „ბანკის“ ლიკვიდაციის პროცესისი დაწყებისთანავე წყდება „ბანკის“ მიმართ მიმდინარე იძულებითი აღსრულება.
- 25.6. ყველა საკითხი რაც დაკავშირებულია „ბანკის“ ლიკვიდაციის პროცესთან რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.
- 25.7. ბანკის რეორგანიზაციის და დაშლის საკითხები რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

26. მუხლი. დასკვნითი დებულებები

- 26.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი დამტკიცების და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან. ამ წესდების ძალაში შესვლის და რეგისტრაციისთანავე უქმდება ამ წესდების წინ მოქმედი ყველა წესდება.
- 26.2. ამ წესდებაში შეტანილი ყოველი ცვლილება ან დამატება მოითხოვს წერილობით გაფორმებას და შემდგომ რეგისტრაციას შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.
- 26.3. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის კონკრეტული ნორმა, ანდა თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად ჩაითვლება, ეს გავლენას არ მოახდენს მთლიანად წესდების ნამდვილობაზე.
- 26.4. აქციონერებისა და ბანკის შიდა ორგანოებს შორის ამ წესდებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებთან ან ამ წესდების დებულებების განმარტებასთან დაკავშირებული ყველა სახის დავის წარმოშობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 26.5. წესდებას და მის ცვლილებას ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე. წესდების ცვლილებაზე ან მის ახალ რედაქციაზე აქციონერთა ხელმოწერები საჭირო არ არის. წესდების ცვლილების დამოწმებაზე ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიტ დადგენილი წესი.
- 26.6. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ წესდებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 26.7. ეს წესდება შედგენილია ქართულ ენებზე და შესაძლებელია ითარგმნოს სხვა ენაზეც. წესდების ქართულ და სხვა ენაზე ნათარგმნ ვერსიებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას, შესაბამისად ქართულ ვარიანტს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა.

ბანკის აქციონერთა საერთო კრების
თავმჯდომარე **ვასილ კენკიშვილი**

პროექტი

სააქციო საზოგადოება «სილქ ბანკი»

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ოქმი N 16/09022026

ქ. თბილისი

“09” თებერვალი 2026 წ.

2026 წლის 09 თებერვალს მისამართზე: ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N2., გაიმართა სააქციო საზოგადოება „სილქ ბანკი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201955027) (შემდგომში - „ბანკი“) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება (შემდგომში - „კრება“), კრება მოწვეულ იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად.

კრება დაიწყო 10:00 საათზე

კრების გახსნამდე განხილული და გადაწყვეტილი ტექნიკური საკითხები

კრებაზე დამსწრეთა რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია

კრებისათვის აქციონერთა და სხვა დამსწრეთა იდენტიფიკაციას, მათი უფლებამოსილებების ვერიფიკაციას და კრების მონაწილედ შესაბამისად მათ რეგისტრაციას ახორციელებდნენ: კრებაზე დამსწრე: ა) ბანკის კორპორაციული მდივანი - ირაკლი ლეონიძე (საქართველოს მოქალაქე პირადი ნომერი: 01005001486); ბ) საქართველოს ნოტარიუსი - ეკატერინე გვანცელაძე (პირადი ნომერი: N01008022615), კრებაზე დამსწრეთა რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის პროცესი დაიწყო 10:00 საათზე და დასრულდა 10:15 საათზე.

რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ:

1. კრებაზე გამოცხადდა და კრებას ესწრებოდნენ ბანკის შემდეგი აქციონერები, რომლებიც საერთო კრების სააღრიცხვო დღეს 2026 წლის „12“ იანვარს, შესაბამისად ირიცხებოდნენ ბანკის აქციონერებად ბანკის აქციათა ოფიციალურ რეგისტრატორთან (რეესტრში), სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი N 205156374):

- 1.1. _____;
- 1.2. _____;
- 1.3. _____;
- 1.4. _____;

კრებაზე წარმოდგენილი აქციონერები ჯამურად ფლობენ _____ ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს ბანკის განთავსებული კაპიტალის _____ %-ს.

რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ:

2. კრებას ესწრებოდნენ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრები, რომლებიც კრების ჩატარების თარიღზე ასეთად რეგისტრირებულები არიან მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში:

- 2.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: არჩილ ლურსმანაშვილი (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 15/06/1988წ. მცხოვრები: თბილისი, კრწანისის მე-2 შესახვევი #15, კორპ. 2, ბინა 33ა, პირადი ნომერი: 01024051979);
- 2.2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიადგილე/თანათავმჯდომარე - ვასილ კენკიშვილი (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 30/09/1978წ. მცხოვრები: თბილისი, მუხიანი მე-3 მკრ, კორპ. #10, ბ #94; პირადი N01003000807)

კრებაზე არ არის წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი მანაგაძე (საქართველოს, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, დაბ. 27/10/1967წ. მცხოვრები: თბილისი, დიმიტრი ბაქრაძის ქ. #11, ბინა #4 პირადი ნომერი: პ/ნ 01018002364);

რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ:

3. კრებას ესწრებოდნენ ბანკის დირექტორთა საბჭოს შემდეგი წევრები, რომლებიც კრების ჩატარების თარიღზე ასეთად რეგისტრირებულები არიან მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში:

- 3.1. **გენერალური დირექტორი:** ალექსი ხოროშვილი (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 12/09/1983წ. მცხოვრები: თბილისი, ა. რაზმაძის ქ. N 55 ბ. 28, პირადი №61011000131);
- 3.2. **ოპერაციების მართვის დირექტორი:** ნათია მერაბიშვილი (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 13/10/1969წ. მცხოვრები: თბილისი, ნ. რამიშვილის შესახვევი №2, ბინა №72, პირადი ნომერი: 01007002798);
- 3.3. **იურიდიული დირექტორი:** გიორგი ღიბრაძე (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 13/11/1975წ. მცხოვრები: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N16, ბინა 27, პირადი ნომერი: 01011009691);
- 3.4. **ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი:** ირაკლი ბენდელიანი (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 13/02/1987წ. მცხოვრები: წყალტუბო, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, პირველი შესახვევი N3ა, პირადი ნომერი: 53001022231);
- 3.5. **რისკების დირექტორი:** გიორგი კალოიანი (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 14/12/1975წ. მცხოვრები: თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N127, ბინა N60, პირადი №61001012954)
- 3.6. **პროდუქტებისა და ინოვაციების დირექტორი:** დავით ნინიძე (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 22/07/1983წ. მცხოვრები: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა, N4, ბინა N99, პირადი №01030031816);

რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ:

4. კრებას ასევე ესწრებოდნენ:

- 4.1. **ბანკის კორპორაციული მდივანი** – ირაკლი ლეონიძე (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 21/08/1978წ. მცხოვრები: თამარ მეფის გამზ. N5ა, პირადი ნომერი: 01005001486);
- 4.2. **ნოტარიუსი ეკატერინე გვანცელაძე** (პირადი ნომერი N01008022615);

კრებაზე დამსწრეთა და ქვორუმის გამოცხადება

კრებაზე დამსწრე ნოტარიუსმა ეკატერინე გვანცელაძემ გამოაცხადა 1.1.; 1.2.; 1.3.1.4.; 2.1.; 2.2.; 2.3.; 2.4.; .; 3.1.; 3.2.; 3.3.; 3.4.; 3.5; 3.6.; 4.1.; 4.2. პარაგრაფებში მითითებული პირების კრებაზე დასწრება. **ნოტარიუსმა ეკატერინე გვანცელაძემ** კრებაზე დამსწრეებს ასევე აცნობა, რომ აქციონერთა საერთო კრებაზე წარმოდგენილი აქციონერები ჯამურად ფლობენ _____ ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს ბანკის განთავსებული ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის _____%-ს, შესაბამისად მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ქვორუმში შემდგარია და კრება უფლებამოსილია იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს საერო კრების მოწვევით განსაზღვრული დღის წესრიგში შემავალ ყველა საკითხზე.

კრების თავმჯდომარის და კრების მდივნის არჩევა

10:30 საათზე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და თანათავმჯდომარემ ბატონმა ვასილ კენკიშვილმა მიმართა კრებაზე დამსწრე აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და დირექტორატის წევრებს განმარტებით, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 198-ე მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად, საერთო კრებას თავმჯდომარეობს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არ ყოფნისას საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. ასევე, ამავე კანონის ამავე მუხლის და პუნქტის შესაბამისად, ბანკის წესდება შეიძლება ადგენდეს საერთო კრების თავმჯდომარის

განსაზღვრის სხვა წესს. ხსენებულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ირაკლი მანაგაძე არ ესწრება კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და თანათავმჯდომარემ ბატონმა ვასილ კენკიშვილმა კრებას შესთავაზე და კრების თავმჯდომარედ წამოაყენა თავისი კანდიდატურა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და სთხოვა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და დირექტორატის წევრებს აზრის გამოთქმა ხსენებულ საკითხზე.

- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა არჩილ ლურსმანაშვილმა (პირადი ნომერი: 01024051979) გამოთქვა მოსაზრება და მხარი დაუჭირა კრების თავმჯდომარედ ვასილ კენკიშვილი (პირადი N01003000807) არჩევის წინადადებას;
- ბანკის დირექტორატ საბჭოს წევრმა ოპერაციების მართვის დირექტორმა - ნათია მერაბიშვილმა (პირადი ნომერი: 01007002798), რისკების დირექტორმა - გოორგი კალოიანმა (პირადი ნომერი: 61001012954) გამოთქვა მოსაზრება და მხარი დაუჭირა კრების თავმჯდომარედ ვასილ კენკიშვილის (პირადი N01003000807) არჩევის წინადადებას;
- სხვა დამსწრე პირებს აზრის გამოთქმის განსხვავებული სურვილი არ გამოუხატავთ.

კრების თავმჯდომარედ ვასილ კენკიშვილის (პირადი N01003000807) არჩევის საკითხზე გამოცხადდა აქციონერთა კენჭისყრა და კენჭისყრა ჩატარდა ღია ხმის მიცემის წესით:

- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას
- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას.
- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას
- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგების მიხედვით

- დამსწრეთა 100 % - _____ ხმა - დადებითი;
- დამსწრეთა 0 % - _____ ხმა - უარყოფითი;
- დამსწრეთა 0 % - _____ ხმა - თავი შეიკავა;

კენჭისყრის შედეგების შესაბამისად კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვასილ კენკიშვილის (პირადი N01003000807).

კრების თავმჯდომარემ კრების მდივნის პოზიციაზე წარადგინა, ბანკის კორპორაციული მდივანი ირაკლი ლეონიძე (პირადი ნომერი: 01005001486). კრების მდივნად ირაკლი ლეონიძის არჩევის საკითხზე გამოცხადდა აქციონერთა კენჭისყრა და კენჭისყრა ჩატარდა ღია ხმის მიცემის წესით:

- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას
- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას.
- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას
- _____ (საიდენტიფიკაციო კოდი: _____), რომელიც ფლობს _____ ჩვეულებრივ აქციას _____% ბანკის კაპიტალში, წარმომადგენელი _____ (პირადი ნომერი _____) აქციონერის სახელით დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგების მიხედვით

- დამსწრეთა 100 % - _____ ხმა - დადებითი;
- დამსწრეთა 0 % - _____ ხმა - უარყოფითი;
- დამსწრეთა 0 % - _____ ხმა - თავი შეიკავა;;

კენჭისყრის შედეგების შესაბამისად კრების მდივნად არჩეულ იქნა ბანკის კორპორაციული მდივანი **ირაკლი ლეონიძე** (პირადი ნომერი: 01005001486).

კრების თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184- ე მუხლის „ღ“ პუნქტის შესაბამისად საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას კრების მიმდინარეობის წესის დადგენისა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ, კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების კენჭისყრისას მიცემული ხმების დამთვლელი კომისიის წევრების არჩევის შესახებ.

კრების თავმჯდომარემ განმარტა, რომ კრებაზე ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრის პრინციპით და დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება დამოუკიდებლად, ხმების დათვლის პროცესს უზრუნველყოფს ნოტარიუსი, რომელიც გააფორმებს საერთო კრების გადაწყვეტილებას და კრებაზე დამსწრე ნოტარიუსს, ხმების დათვლის პროცესში დახმარებას გაუწევს კრების მდივანი. კრების თავმჯდომარემ აქციონერებს განუმარტა, მათი უფლება კრებას შესთავაზონ ხმების დათვლის განსხვავებული წესი, ან ხმის დამთვლელი კომისიის განსხვავებული შემადგენლობა.

